

## მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ტესტები გაზმომარაგებაში

1. ბუნებრივი გაზის და ჰაერის ნარევი გაზის %-ული რაოდენობის აფეთქების ზღვრები?

პასუხი:

1. 0 – 10%;
2. 5 – 15%;
3. 3 – 19%;
4. 10 – 21%;

2. დასახლებული პუნქტების გაზმომარაგებისას, დაბალი წნევის ქსელში გაზის წნევა?

პასუხი:

1. – 500 მმ. წყ. სვ;
2. – 1000 მმ.წყ. სვ;
3. – 0,5 ატმ;
4. – 1 ატმ.

- 3 ბუნებრივ გაზის შემადგენლობაში რომელი გაზია ძირითადი კომპონენტი?

პასუხი:

1. აზოტი;
2. ნახშირორჟანგი;
3. მეთანი;
4. აცეტილენი.

4. დასახლებული პუნქტების გაზმომარაგებისას, საშუალო წნევის ქსელში გაზის წნევა რა დიაპაზონში შეიძლება იცვლებოდეს?

პასუხი:

1. 500 მმ.წყ. სვ.–3 ატმ.
2. 0,5ატმ.– 2ატმ;
3. 1ატმ– 4ატმ;
4. 2ატმ –6ატმ.

5. რა არის გაზმარეგულირებელი პუნქტების დანიშნულება?

პასუხი:

1. გაზის წნევის გაზრდა;
2. გაზის გაზრდილი წნევის შენარჩუნება;
3. გაზის წნევის შემცირება;
4. გაზის შემცირებული წნევის შენარჩუნება.

6. თხევადი გაზის სახით რომელი გაზების ნარევის იყენებს მოსახლეობა?

პასუხი:

1. მეთანი და აცეტილენი;
2. პროპანი და ბუთანი;
3. ეთანი და მეთანი;
4. ეთანი და აზოტი.

7. რა არის გაზმომარაგების ქსელების დაზიანების ძირითადი მიზეზი?

პასუხი:

1. კოროზია;
2. მექანიკური დაზიანება;
3. ტემპერატურის ცვლილება;
4. წნევის ცვლილება.

8. რომელია ნახშირწყალბადების ფორმულა?

პასუხი:

1.  $C_2H_2$
2.  $C_nH_{2n+2}$
3.  $C_nH_{2n}$
4.  $N_2$

9. რომელია ბუნებრივი გაზის ნორმალური პირობები?

პასუხი:

1. წნევა 760 მმ.ვც.წყ.სვტ. 0°C;
2. 2ატ. 20°C;
3. 1ატ. 20°C;
4. წნევა 760 მმ.ვც.წყ.სვტ. 20°C;

10. რა არის ოდორიზაციის დანიშნულება?

პასუხი:

1. თბოუნარიანობის გაზრდა;
2. ფერის მიცემა;
3. სუნის მიცემა;
4. სიმკვრივის გაზრდა;

11. გაზგამანაწილებელ პუნქტში რომელი ხელსაწყოა ძირითადი?

პასუხი:

1. მანომეტრი;
2. ფილტრი;
3. რეგულიატორი;
4. ჩამკეტ გადამგდები სარქველი.

12. საყოფაცხოვრებო გაზის ქურბში გამოყენებულია სანთურები;

პასუხი:

1. ინექციური;
2. დიფუზიური;
3. შერეული;
4. რადიაციული (იმფრაწითელი);

13. გაზის წვის დროს ჰაერის სიჭარბის კოეფიციენტი სასურველია იყოს:

პასუხი:

1. 2;
2. 1,1;
3. 1,5;
4. 1,9.

14. 1მ<sup>3</sup> გაზის თბოუნარიანობა, რომლის უფრო მეტია?

პასუხი:

1. წყალბადის;
2. მეთანის;
3. ეთანის;
4. პროპანის;

15. რომელი გაზის სიმკვრივე მეტი?

პასუხი:

1. წყალბადის;
2. მეთანის;
3. ეთანის;
4. პროპანის.

## ტესტები გათბობა, ვენტილაცია, ჰაერის კონდიციონირებაში

1. რამდენ სრულ სითბოს გამოჰყოფს ადამიანი სათავსში ზამთრის პერიოდში მშვიდ მდგომარეობაში?

პასუხი:

1. 100 ვატი;
2. 120 ვატი;
3. 140 ვატი;
4. 160 ვატი.

2. რამდენ ტენს გამოჰყოფს ადამიანი სათავსში ზამთრის პერიოდში მშვიდ მდგომარეობაში?

პასუხი:

1. 20 გრ/სთ;
2. 40 გრ/სთ;
3. 60 გრ/სთ;
4. 80 გრ/სთ.

3. რომელია ზამთრის პერიოდში სათავსში ადამიანისათვის კომფორტული ტემპერატურა?

პასუხი:

1. 18°C;
2. 22°C;
3. 20°C;
4. 24°C

4. ზამთრის პერიოდში გათბობის საანგარიშო ტემპერატურე თბილისის პირობებისთვის?

პასუხი:

1. -6°C;
2. -8°C;
3. -10°C;

4.  $-12^{\circ}\text{C}$ .

5. ცენტრალური კონდინციონერის სარწყავ საკანში ზამთრის პერიოდში განხორციელებული ჰაერის დამუშავების პროცესი.

პასუხი:

1. ჰაერის იზოთერმული გატენიანება;
2. ჰაერის ადიაბატური გატენიანება;
3. ჰაერის გათბობა და გატენიანება;
4. ჰაერის გაშრობა.

6. კონდინციონერის ზედაპირულ ჰაერგამაციებელში ზაფხულის პერიოდში განხორციელებული ჰაერის დამუშავების პროცესი.

პასუხი:

1. ჰაერის გათბობა და გატენიანება;
2. . ჰაერის გაციება და გატენიანება;
3. . ჰაერის გაციება და გაშრობა;
4. . ჰაერის ადიაბატური გატენიანება.

7. სამაცივრო დანადგარის რომელ ელემენტში ხდება გასციებელი გარემოდან სითბოს ართმევა?

პასუხი:

1. კომპრესორი;
2. თერმომარეგულირებელი ვენტილი;
3. ამორთქლებელი;
4. კონდენსატორი.

8. ვენტილატორის მარგი ქმედების კოეფიციენტი უნდა იყოს მაქსიმუმის

პასუხი:

1. 60%;
2. 70%;
3. 80%;
4. 90%.

9. ცენტრალურ გათბობის სისტემაში სითბოს მატარებლად გამოიყენება:

პასუხი:

1. მაცივარ აგენტი;
2. ცხელი წყალი ან წყლის ორთქლი;
3. ცივი წყალი;
4. მარილ ხსნარი.

10. ცენტრალურ გათბობის სისტემაში გამოთბობ ხელსაწყოდ გამოიყენება:

პასუხი:

1. კალორიფერი;
2. რადიატორი;
3. გამომსხივებელი;
4. ღუმელი.